საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწვეული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

27.05.2013

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ნატრიაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
3. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
4. დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
5. კახა ბაინდურაშვილი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
6. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების აპარატის უფროსი;
7. სოფიო გიორგაძე - გამოცდების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
8. თამარ სამხარაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

შეხვედრის დღის წესრიგი:

1. შეხვედრის გახსნა
2. საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა;
3. შეხვედრის შეჯამება.

შეხვედრა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა და სოციალურ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისათვის.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობის პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების თაობაზე წინადადებებისა და მოსაზრებების წარმოდგენის გამო. წარმოდგენილი პროექტები შესასწავლად გადაიგზავნა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტში, თუმცა, როგორც შრომის

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მოადგილის მიერ, ასევე დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აქტიურად განიხილება ამ ტიპის საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოს საქართველოს პრემიერის აპარატში ჩამოყალიბების საკითხი და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის ერთიან ფორმატში მოქცევა, რის გამოც მიზანშეწონილი არ იქნება ცალკე, პარალელური საბჭოების შექმნა. ამდენად, მიმდინარე ეტაპზე, შეჩერებულია საბჭოს ახალ დებულებაზე მუშაობა და სამინისტრო ელოდება შესაბამის გადაწყვეტილებას.

ქეთევან ნატრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ის საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც განპირობებულია გადაუდებელი აუცილებლობებით და ინიცირებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი გაერთიანებების, პროფესიული კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების მხრიდან:

1. სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების გამო, რომელიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების/ინდიკატორების გადახედვა, პროფესიული სტანდარტების გადახედვა, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, დაფინანსების ახალი წესის ამოქმედება, პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესის ამოქმედება - ის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ავტორიზაცია გაევლოთ 2013 წელს, ავტორიზებულებად ჩაითვლებიან 2014 წლის პირველ სექტემბრამდე. წარმოდგენილი ცვლილება არ შეეხებათ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც უკვე გააკეთეს განაცხადი და უარი ეთქვათ ავტორიზაციაზე.
2. კანონპროექტის თანახმად, ამოქმედდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ერთიანი წესი - ერთიანი ეროვნული პროფესიული ტესტირება დაადგენს პირის მზაობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად. შესაბამისად, პირს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების, ერთიანი ეროვნული პროფესიული გამოცდის ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, წარმოეშობა უფლება მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად;
3. კანონპროექტის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად. ანუ კანონში დაკონკრეტებული არ იქნება რა მოდელით/მექანიზმებით დაფინანსდება სფერო. პროფესიული განათლების დაფინანსების მოქნილი, მდგრადი მოდელის ჩამოყალიბება და დანერგვა რთული პროცესია. ამ პროცესში შესაძლებელია რამდენჯერმე შეიცვალოს შემუშავებული წესი და პროცედურები. ამდენად, კანონის ხშირი ცვლის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია კანონით განისაზღვროს

პასუხისმგებელი ორგანო (საქართველოს მთავრობა), რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსების წესისა და პირობების შემუშავებას.

აზრი გამოთქვა **დენის დავითაშვილმა** და აღნიშნა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას, მაგრამ მიზანშეწონილად მიაჩნია ავტორიზაციის გადავადება არა ერთი, არამედ ორი წლით. აღნიშნულის მიზეზად **დენის დავითაშვილმა** დაასახელა ის გარემოება, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უკვე შემუშავებულია პროფესიული სტანდარტების გადახედვისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების გეგმა (პროექტი), რომლის განხორციელებისთვისაც საჭიროა მინიმუმ 2 წელი. ამასთანავე იგი მიესალმა კვალიფიკაციების გამსხვილების ინიციატივას. **დენის დავითაშვილმა** ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია სამინისტროს მიერ დასაფუძნებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება ავტორიზებულ რეჟიმში ასევე 2 წლით.

აღნიშნულის პასუხად **ქეთევან ნატრიაშვილმა** განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ სამინისტრო გადაწყვეტს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებას, აუცილებელი პირობა იქნება ავტორიზაციის გავლა, რადგან სხვა შემთხვევაში, დაწესებულება ვერ მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს და ვერ იფუნქციონირებს. ახლადდაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სტანდარტს ავტორიზაციის გასავლელად და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ სტანდარტების არსებობა.

აზრი გამოთქვა **მიხეილ კორძახიამ** და აღნიშნა, რომ ეთანხმება წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას ავტორიზაციის გადავადებასთან დაკავშირებით და ასევე, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ეს ინიციატივა უნდა გავრცელდეს მხოლოდ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და არავითარ შემთხვევაში მიმდინარე წელს დასაფუძნებელ კოლეჯებზე.

ლაშა ბლიაძემ თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისაგან და აღნიშნა, რომ საკითხი ჯერ უნდა განიხილოს და შეათანხმოს ორგანიზაციასთან, რომელსაც წარმოადგენს.

მიხეილ კორძახიამ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაჩქარებული წესით აპირებს სტანდარტების გადახედვას და საფეხურების გაერთიანებას, რაც ძალიან დიდ პრობლემებამდე მიგვიყვანს, რადგან კვლავ არ იქნება გათვალისწინებული დამსაქმებელთა მოთხოვნები და საფუძვლიანი შესწავლის გარეშე, მექანიკურად მოხდება ახალი სტანდარტების შემუშავება.

ქეთევან ნატრიაშვილისა და **თამარ სამხარაძის** განმარტებით პროფესიული განათლების საფეხურებთან, ამ საფეხურების შესაბამისად შემუშავებულ პროფესიულ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პედაგოგები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები, პროგრამების კოორდინატორიები), ისე სტუდენტების/მათი მშობლების და დამსაქმებლების მხრიდან. საფეხურებრივი პროგრამები და კვალიფიკაციები დამაბნეველი

აღმოჩნდა პროფესიული განათლების მიმწოდებლებისთვისაც და მომხმარებლებისთვისაც. მდგომარეობის გამოსასწორებლად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ორი მიმართულებით აქვს დაგეგმილი მუშაობა: გარდამავალი ეტაპისათვის, ანუ მიმდინარე წლის სექტემბრისთვის უნდა მოხდეს იმ სტანდარტების გადახედვა, რომლებთან დაკავშირებითაც შეჯერებული მოსაზრებები უკვე არსებობს და ყველა მხარე თანხმდება, რომ არ უნდა იყოს რამდენიმე საფეხურად დანაწევრებული და შესაბამისად, მასზე მორგებული პროგრამაც უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი, მოიცავდეს სრულფასოვანი (და არა ნაწილობრივი) კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნასა და კომპეტენციებს. ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული მიდგომა ნაწილობრივ მაინც გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ზოგადად, პროფესიული განათლების ხარისხს. თუმცა შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ მიდგომით სისტემის წინაშე მდგარი ამოცანები გადაიჭრება. სწორედ ამიტომ, დამუშავებულია პროექტის მონახაზი, რომლის მიხედვითაც 2 წლის ვადაში, უნდა მოხდეს თითოეული სტანდარტის იგვლივ სამუშაო ჯგუფების ფორმირება, ფაქტობრივად ახალი პროფესიული სტანდარტების მომზადება და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. ამ პროექტის მონახაზის განხილვა დაგეგმილია ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე.

აზრი გამოთქვა **კახა ბაინდურაშვილმა** და აღნიშნა, რომ არ უნდა შეიქმნას გადაჭარბებული მოლოდინები ამ პროცესებში ბიზნესის მონაწილეობის შესახებ. ილუზიაა, რომ ბიზნესი თავის მოთხოვნებს სწორად ჩამოაყალიბებს და გამზადებულ მასალას დადებს განსახილველად. ბიზნესის მხრიდან ღრმა შინაარსობრივი მუშაობის მოლოდინი არ უნდა არსებობდეს.

ქეთევან ნატრიაშვილის წინადადებით, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მეშვეობით ინერგება მეთოდოლოგია, რომელიც აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში და დამსაქმებლებს დაეხმარება დაქირავებული მუშახელისა და პროფესიული განათლების მიმართ წაყენებული მოთხოვნების სწორად ფორმულირებაში.

მიხეილ კორძახიას აზრით ეროვნულ დონეზე ორგანიზებული გამოცდები ერთგვარ ბარიერს შექმნის პროფესიული განათლების დაუფლების მსურველთათვის, ჩაანაცვლებს მეოთხე-მეხუთე საფეხურებზე არსებულ ბარიერს და ამით შეიძლება კოლეჯები დაზარალდნენ, რასაც არ დაეთანხმა კახა ბაინდურაშვილი და აღნიშნა, რომ სტუდენტთა შერჩევის პროცედურა აუცილებელია და საჭიროა იმისათვის, რომ სწორად შერჩეულ კადრებზე, მიზნობრივად მოხდეს სახელმწიფო თანხების განაწილება. კახა ბაინდურაშვილმა მაგალითად მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ამ ტიპის გამოცდებით ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღება.

ქეთევან ნატრიაშვილის განცხადებით პროფესიული განათლების დღევანდელი სისტემა 5 საფეხურიანი. თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. თუმცა, კანონმა თავის დროზე, მოცემულ საფეხურებს შორის შექმნა ხელოვნური ბარიერი და მეოთხე საფეხურზე, ხოლო მისი არ არსებობის

შემთხვევაში, მე-5 საფეხურზე ჩარიცხვისათვის, დაადგინა ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტი. შედეგად, პროფესიული განათლება აღარ განიხილება, როგორც ერთიანი სისტემა, ვინაიდან, როგორც ჩარიცხვის, ისე დაფინანსების წესები განსხვავებულია პირველი სამი საფეხურისთვის (ვაუჩერი) და მეოთხე-მეხუთე საფეხურებისათვის (სასწავლო გრანტი). დარღვეულია უწყვეტი პროფესიული განათლების პრინციპი. გარდა იმისა, რომ გამოცდა ბარიერია, იგი სრულიად შეუსაბამოა პროფესიული განათლების სისტემისათვის, რადგან ზომავს პირის ზოგად და არა პროფესიულ უნარებს. ამდენად, მისი მოხსნა გარდაუვალი აუცილებლობაა სისტემის შემდგომი განვითარებისა და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამის დასტურია ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის სახელით შემოსული წერილები, რომელთა მიხედვითაც მეოთხე-მეხუთე საფეხურზე არსებულ ბარიერი გაკოტრების წინაპირობაა მათთვის. შემოთავაზებული ტესტირება/პროცედურა კოლეჯებს დაეხმარება მსურველთა ორგანიზებულ ჩარიცხვაში. ამავე დროს, მარტივი ტესტების საფუძველზე, განისაზღვრება პირის კონკრეტულ პროფესიასთან შესაბამისობის დონე. მიდგომა, რომ გამოცდა/ტესტირება განხორციელდეს ცენტრალიზებულად განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით: რეგულაციების ერთბაშად მოხსნით და მთელი პასუხისმგებლობის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დელეგირებით, ერთგვარი რისკის ქვეშ დადგებიან თავად ეს დაწესებულებები. მათ არ აქვთ ამ ტიპის საქმიანობის პრაქტიკა/გამოცდილება. გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს კორუფციის რისკებიც. ეროვნულ დონეზე ორგანიზებული გამოცდით/ტესტირებით მნიშვნელოვნად გაიზრდება ნდობა პროფესიული განათლების მიმართ. ეს პროცედურა დაეხმარება, როგორც პროფესიული განათლების მიღების მსურველებს, რომ სწორად განსაზღვრონ/შეაფასონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ასევე თავად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ამა თუ იმ პროგრამაზე ჩარიცხონ სწორად შერჩეული/იდენტიფიცირებული კადრები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღონ თითოეული სტუდენტის პროფესიული თუ საგნობრივი უნარების შესახებ. ამდენად, შემოთავაზებული ტესტირება თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივ გამოყენებას და სახელმწიფო სახსრები მიმართული იქნება იმ პირთა მიმართ, როლებიც კონკრეტულ პროგრამაზე ჩაირიცხებიან ადექვატური შეფასებით და რისკის ქვეშ არ დადგება მათი შემდგომი სწავლის, დასაქმებისა თუ თვითდასაქმების პერსპექტივები.

თამარ სამხარაძემ შეხვედრის მონაწილეებს განუმარტა, რომ საკანონმდებლო ინიციატივა სწრაფად უნდა დაფიქსირდეს იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სტუდენტთა საშემოდგომო მიღების გამოცხადება ახალი წესით. საჭიროა შეთანხმება ზოგადი პრინციპების დონეზე, ხოლო შემდგომ, შესაძლებელი იქნება კონკრეტული პროცედურების გაწერა და მთელი რიგი საკითხების დაზუსტება.

მიხეილ კორძახიამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთანხმება საკანონმდებლო ინიციატივას ავტორიზაციის გადავადების ნაწილში, ხოლო არ ეთანხმება

ჩარიცხვის/დაფინანსების წესის ნაწილში, რადგან სრულად არ ფლობს ინფორმაციას. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისგან მან თავი შეიკავა.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხების ირგვლივ, მოცემულ ეტაპზე, დამატებითი ინფორმაცია არ არსებობს და უახლოეს პერიოდში, დაიგეგმება ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა, სადაც უკვე შესაძლებელი იქნება დაზუსტებული პოზიციების წარმოდგენა და დისკუსიის გამართვა. ამავდროულად, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივის დაფიქსირება აუცილებელია დაუყოვნებლივ, რათა პარლამენტმა მოასწროს განხილვა საგაზაფხულო სესიაზე, სამინისტრო ზოგადი ფორმით მოამზადებს და წარადგენს საკანამომდებლო ცვლილებების ინიციატივას. დეტალების წარდგენა და განხილვა კი მოხდება მომავალ ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ყველა სადისკუსიო თემა განხილული იქნება ეროვნულ პროფესიულ საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართება უახლოესი დღეების განავლობაში.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს დისკუსიისთვის და აღნიშნა, რომ სამინისტრო შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გაითვალისწინებს სოციალური პარტნიორების მოსაზრებებს პროფესიული განათლების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.